ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 694

"20" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ჩიხისთვის, ზურგოვანის ტერიტორიაზე მდებარე ასი ათასი მოწამის ქუჩისთვის და მუხათგვერდის სასაფლაოსკენ მიმავალი გზისთვის საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, ზურგოვანის ტერიტორიაზე არსებულ ასი ათასი მოწამის ქუჩას და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩას მიენიჭოს მიხა ხელაშვილის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. საბურთალოს რაიონში, პირველ პუნქტში აღნიშნულ უსახელო ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს მიხა ხელაშვილის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


X:477679 Y:4628259
მიხა ხელაშვილის ქ.
X:479128 Y:4627789
X:478921 Y:4627676
X:477678 Y:4612194
X:480020 Y:4627391
I ჩიხი
მიხა ხელაშვილის ქ.
X:479145 Y:4627336
X:479836 Y:4627313
X:480894 Y:4627127
II ჩიხი
X:480697 Y:4627158
X:480886 Y:4627051
N
1:13,